საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 02/30-09 „16" 01 2018 წ

დეკანის ბრძანება №2/2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე "სახელმძღვანელოების კონკურსის" განხორციელების შესახებ

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების შექმნის/განხორციელების კონკურსი;
2. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 20 000 ლარი;
3. ახალი სახელმძღვანელოს შექმნის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს; არსებულის განახლება (2013 წლამდე გამოცემულის) – 3 000 ლარს;
4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს;
5. არჩევითი საგნის სახელმძღვანელო საკონკურსო განიხილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში მასზე დარეგისტრირებული იყო არანაკლებ 70 სტუდენტისა; გამონაკლისია ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ბილინგვური პროგრამა.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება დეკანის სახელზე, სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია (მინიმუმ 500

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

სიტყვა) და სავარაუდო სარჩევი. სახელმძღვანელო გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილით. სახელმძღვანელოს განახლების შემთხვევაში, დამატებით უნდა წარმოადგინონ ძველი სახელმძღვანელოს ნიმუში;

7. საკონკურსო საბუთები, ხოლო შემდგომში, დასრულებული პროექტები უნდა აიტვირთოს ბმულზე https://tsu.ge/ge/faculties/social/news/
8. საკონკურსო პროექტების ბმულზე ატვირთვის ვადა – ა.წ. 16 თებერვალის 17.00სთ-მდე;
9. გამარჯვებული პროექტები გამოცხადდეს 28 თებერვალს;
10. დასრულებული პროექტის ბმულზე ატვირთვის ვადა – ა.წ. 1 ნოემბრის 17.00სთ-მდე;
11. დაფინანსებული პროექტის ანაზღაურება მოხდება სახელმძღვანელოს წარდგენის, რეცენზირებისა და ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდგომ;
12. სახელმძღვანელო გამოქვეყნდება ელექტრონული ფორმით;
13. საკონკურსო პროექტების შერჩევასა და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
    - თამარ დოლბაია – კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი;
    - მანანა შამილიშვილი – კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი;
    - რევაზ ჯორბენაძე – პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
    - ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
    - თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
    - ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი;
    - ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი;
14. დეკანის სამდივნომ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
15. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია